ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1/221223/1

ქ. თბილისი **22 დეკემბერი 2023 წ.**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, **სსიპ „შემოსავლების სამსახური“,** ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ: 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი: 70701

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორე მხრივ, **ა(ა)იპ „შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრი“**, მისი დირექტორის, ეკატერინე საბაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გოგებაშვილის ქ. №43, ბინა №18, ს/კ: 404444945; ტელ.: 595220460, ელფოსტა: eka@professionals.org.ge; სს თიბისი ბანკი, კოდი: TBCBGE22, ა/ა: GE82TB7061436080100010

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით **2024 წლის განმავლობაში სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების - ექსპერტების/შემფასებლების უძრავი და მოძრავი ქონების შეფასების სფეროში მომზადება-სერტიფიცირების მომსახურების (CPV-80511000 - მომსახურებები კადრების მომზადების სფეროში) სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადების № NAT230024251)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **13`200.00 (ცამეტი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარად** (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 **2024 წლის განმავლობაში სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების - ექსპერტების/შემფასებლების მომზადება-სერტიფიცირება უძრავი და მოძრავი ქონების შეფასების სფეროში უნდა განხორციელდეს დანართი №1 - ფასების ცხრილში მოცემული პირობების და ვადების შესაბამისად;**

3.2. თითოეულ სფეროში ტრენინგების, ტესტირებისა და სერტიფიკაციის გამოცდების წარმატებით დასრულების შემდეგ, უნდა გაიცეს შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ეტაპობრივად, შემსყიდველის - სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის და მხარეთა ურთიერთშეთანხმების შესაბამისად, **2024 წლის 01 იანვრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, შესრულებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 პუნქტით და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2.. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა შესაბამისი მომსახურების მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ამავდროულად მიმწოდებელს განესაზღვრება **5 (ხუთი)** სამუშაო დღე, რათა უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშკრულება.

5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახური“- დან).
5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან გამხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ ინსპექტირების, მიღება-ჩაბარების აქტე(ბი)ს გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის საგადასახადო ანგარიშფაქტურა) წარმოდგენიდან (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;
7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორსმაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დანართი №1-ით და ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების დროს გამოვლინდა, რომ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით და ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და დარღვეულია 7.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

„შემსყიდველი“ სსიპ „შემოსავლების სამსახური“	„მიმწოდებელი“ ა(ა)იპ „შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრი“
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.12.22 18:18:32 +04'00' _____	Ekaterine Sabadze 01021008915 Digitally signed by Ekaterine Sabadze Date: 2023.12.22 10:26:44 _____
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი **მიხეილ ახვლედიანი**	**დირექტორი** **ეკატერინე საბაძე**

დანართი №1 - ფასების ცხრილი

N	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	თანამშრომლების რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი დღე-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (დღე-ს ჩათვლით)	მომსახურების გაწევის პირობები	მომსახურების გაწევის ვადა
1	ტრენინინგი მოძრავი ქონების შეფასების სფეროში	შემოსავლების სამსახურის ექსპერტის პროფესიული მომზადება მოძრავი ქონების შეფასების სფეროში მინიმუმ უნდა მოიცავდეს: მოძრავი ქონების სამართლებრივი ასპექტები; შეფასების საერთაშორისო სტანდარტები; მოძრავი ქონების შეფასების მეთოდოლოგია (საბაზრო, შემოსავლების და დანახარჯების მეთოდი); ცვეთა; შეფასების ანგარიშის მომზადება	4	900	3600	ტრენინგი უნდა დაიწყოს მხარეთა ურთიერთშეთანხმების შესაბამისად, შემსყიდველის - სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ტრენინგი უნდა მოიცავდეს არანაკლებ 12 (თორმეტი) სამუშაო დღეს	მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ეტაპობრივად, შემსყიდველის - სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის და მხარეთა ურთიერთშეთანხმების შესაბამისად, 2024 წლის 01 იანვრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით
2	სერტიფიცირება მოძრავი ქონების შეფასების სფეროში I ეტაპი - თეორიული გამოცდა	შემოსავლების სამსახურის ექსპერტის ტესტირება მოძრავი ქონების შეფასების სფეროში	4	200	800	მოძრავი ქონების შეფასების სფეროში ტრეინინგის დასრულებიდან 2 კვირის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვისა	
3	სერტიფიცირება მოძრავი ქონების შეფასების სფეროში I I ეტაპი - პრაქტიკული გამოცდა	შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ მოძრავი ქონების შეფასების სფეროში მომზადებული შეფასების ანგარიშის განხილვა-პრეზენტაცია საგამოცდო კომისიასთან	4	300	1200	შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ მოძრავი ქონების შეფასების სფეროში მომზადებული შეფასების ანგარიშის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში	
4	ტრენინინგი უძრავი შეფასების სფეროში	შემოსავლების სამსახურის ექსპერტის პროფესიული მომზადება უძრავი ქონების შეფასების სფეროში მინიმუმ უნდა მოიცავდეს: უძრავი ქონების შეფასების პროგრამა; უძრავი ქონების სამართლებრივი ასპექტები; შეფასების საერთაშორისო სტანდარტები; უძრავი შეფასების მეთოდოლოგია (საბაზრო, შემოსავლების და დანახარჯების მეთოდი); მიწის შეფასების ასპექტები; შეფასება ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის; შეფასების ანგარიშის მომზადება	4	1400	5600	ტრენინგი უნდა დაიწყოს მხარეთა ურთიერთშეთანხმების შესაბამისად, შემსყიდველის - სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ტრენინგი უნდა მოიცავდეს არანაკლებ 20 (ოცი) სამუშაო დღეს	
5	სერტიფიცირება უძრავი ქონების შეფასების სფეროში I ეტაპი - თეორიული გამოცდა	შემოსავლების სამსახურის ექსპერტის ტესტირება უძრავი ქონების შეფასების სფეროში	4	200	800	უძრავი ქონების შეფასების სფეროში ტრეინინგის დასრულებიდან 2 კვირის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვისა	
6	სერტიფიცირება უძრავი ქონების შეფასების სფეროში I I ეტაპი - პრაქტიკული გამოცდა	შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ უძრავი ქონების შეფასების სფეროში მომზადებული შეფასების ანგარიშის განხილვა-პრეზენტაცია საგამოცდო კომისიასთან	4	300	1200	შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ უძრავი ქონების შეფასების სფეროში მომზადებული შეფასების ანგარიშის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში	
			სულ:		13200		

*** ტრენინგების, ტესტირების და სერტიფიკაციის გამოცდების წარმატებით დასრულების შემდეგ, უნდა გაიცეს შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

პრეტენდენტის დასახელება_ შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრი

უფლებამისილი პირის ხელმოწერა_____

Ekaterine Sabadze 01021008915

Digitally signed by Ekaterine Sabadze
Date: 2023.12.06 12:39:57